2-3419/22
24-03-2022

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის წევრების: ანრი ოხანაშვილის, დავით მათიკაშვილის და რატი იონათამიშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილია საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (N07-3/177; 15.03.2022).

კანონპროექტი ემსახურება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტთან შესაბამისობაში მოყვანას; კერძოდ, კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების მომწესრიგებელი ის ნორმები, რომლებიც დღესდღეობით „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში არის წარმოდგენილი, არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას და ფაქტობრივად ფიქციად აქცევს კონსტიტუციის დანაწესს. ეს კი უარყოფითად აისახება შესაბამის სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეებსა და, ზოგადად, კონსტიტუციურ წესრიგზე. წარმოდგენილი კანონპროექტი სწორედ ამ საკითხის სათანადოდ მოწესრიგებას ემსახურება.

გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული კანონპროექტის ინიციირებიდან დღემდე იურიდიულ საკითხთა კომიტეტისთვის არ იქნა წარდგენილი რაიმე სამართლებრივი შენიშვნა/მოსაზრება, რომელიც ამ კანონპროექტის მიღების მიზანშეუწონლობაზე ან მის ნაკლოვანებასა თუ ხარვეზიანობაზე მიუთითებდა. ამასთანავე, მისი მიღების დაყოვნება არ იქნებოდა მართებული კანონის ზემოხსენებული ნორმების კონსტიტუციასთან შეუსაბამობის დროულად აღმოფხვრის აუცილებლობიდან გამომდინარე.

ამრიგად, გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის შესაბამისად მიიღოთ გადაწყვეტილება აღნიშნული კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვისა და მიღების თაობაზე.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანრი ოხანაშვილი

პარლამენტის წევრი
დავითი მათიკაშვილი

პარლამენტის წევრი
რატი იონათამიშვილი